პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 ოქტომბერი, 1944 წ. № 203 (7156). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს გაზეთში

ამხანაგ სტალინის სალამი წითელი არმიის თბილისის სახლის მუშაკებს (1-ლი გვერდი).
გავაუმჯობესოთ საბინაო მეურნეობა, შევინარჩუნოთ საბინაო ფონდი! მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 6 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).
საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა (1-ლი გვერდი).
აფხაზეთმა ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა (1-ლი გვერდი).
ა. მალიბაშევი. დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე (1-ლი გვერდი).
საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები: [illegible] რაზმეთში. როგორ მარცვავდნენ გერმანელები ბულგარეთს. [illegible] მედება დასავლეთ ევროპაში. გაზეთი „კურიერული“ რუმინეთის მთავრობის შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

# გავაუმჯობესოთ საბინაო მეურნეობა, შევინარჩუნოთ საბინაო ფონდი!

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველოს ბოლშევიკებმა ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით უდიდესი მუშაობა ჩაატარეს საქალაქო მეურნეობის დარგში. ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი დედაქალაქის — თბილისის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის. აშენდა საუცხოო შენობები. ახალმა ნაგებობებმა, ქუჩებმა, პარკებმა სწრაფად უცვალეს სახე ქალაქს. გადიდდა საბინაო ფონდი და ძვირფასი გამოცდილება დაგროვდა მისი მოვლის საქმეში.

სამამულო ომმა მინიმუმამდე შეამცირა ის ახალი მშენებლობა, რაც საბინაო მეურნეობის ხაზით სწარმოებდა. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა არსებული საბინაო ფონდის სანიმუშოდ მოვლასა და შენარჩუნებას. მაშასადამე, გაიზარდა პარტიის რაიკომების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, საბინაო-სარემონტო ორგანიზაციების, სახლთმმართველობების წინაშე მდგომი ამოცანები. ვერ ვიტყვით, რომ ომიანობის ვითარებაში საბინაო ფონდის მოვლისა და შენარჩუნების დარგში გარკვეული მუშაობა არ ჩატარებულიყოს. მაგრამ ამ საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ამ ნაკლოვანებათა გაშლილი კრიტიკა მოგვცა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმმა, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი საბინაო მეურნეობის გაუმჯობესებისა და საბინაო ფონდის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის გაიშალა მუშაობა. უფრო ენერგიულად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების რემონტი. ბინების შეკეთების საქმეს სერიოზული ყურადღება მიაქციეს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სახლთმმართველობებმა და სარემონტო კანტორებმა. გამოჩნდა თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ დარგში ინიციატივას, მონდომებას, გეგმიანობასა და ორგანიზებულობას.

მაგრამ საბინაო ფონდის რემონტის დარგში აღებული ტემპები ჯერ მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. მარტო თბილისში წელს სამი კვარტალის მანძილზე შენობების კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული იყო 5.875.300 მანეთი, ხოლო 8 თვეში დახარჯულ იქნა 2.825.000 მანეთი. მთელი რემონტის თანხიდან სულ ათვისებულია მხოლოდ 54,2 პროცენტი. და ეს მაშინ, როცა 363 ავარიული სახლიდან 42 სწრაფ შეკეთებას მოითხოვდა. აქედან კი მხოლოდ 8 სახლის რემონტი მიმდინარეობს.

ყოველდღიურ ზრუნვას საჭიროებს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელი. ხშირად მისი დაზიანება თვით ბინებს აფუჭებს. სახლთმმართველები და მობინადრეები კი არც თუ იშვიათად გულდამშვიდებით შესცქერიან ამ მდგომარეობას და ელემენტარულ ზომებსაც არ იღებენ. რატომ არ გრძნობს ამ შემთხვევაში სახლთმმართველი პასუხისმგებლობას ჩაბარებული ობიექტისადმი? ან მობინადრე ხომ ვალდებულია ზუსტად დაიცვას საცხოვრებელი ფონდის ექსპლოატაციის წესები? საქმე იმაშია, რომ რაიაღმასკომები ხშირად არ უწევენ ინსტრუქტაჟს, არ სთხოვენ ზუსტ მუშაობას სახლთმმართველებს, ხოლო ეს უკანასკნელებიც თავის მხრივ არავითარ მუშაობას არ ეწევიან მობინადრეებთან, არ მოუწოდებენ მათ წესიერების დაცვისა და მოვალეობის მოხდისაკენ.

საბინაო ფონდის მოვლისა და შენარჩუნების, მისი კეთილმოწყობის საქმეში ჩაბმულ უნდა იქნას მთელი მოსახლეობა. ამ დარგში ძვირფასი ინიციატივა თვით მობინადრეებმა გამოიჩინეს. მათ შეადგინეს ბინების შეკეთებაზე მომუშავე სხვადასხვა ბრიგადები, ადგილობრივ გამონახეს მასალები და საკუთარი ძალებით შესძლეს არა მარტო ეზოების დასუფთავება, არამედ გაარემონტეს სახურავები, კედლები, კიბეები, წყალსადენისა და კანალიზაციის მილები, გაასუფთავეს კარმიდამო. ასეთი ინიციატივა კიროვის რაიონში დაიწყო, მაგრამ რაიონის ადგილობრივი ხელმძღვანელები მას ბოლომდე ვერ მიჰყვნენ. ვერ შესძლეს მისი პოპულარიზაცია.

ამჟამად მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური. სადაც ამ საქმეს კარგად ჩაუდგნენ სათავეში პარტიის რაიკომები და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, სადაც ნამდვილად მოაწყეს მისი მნიშვნელობის ახსნა-განმარტება და პროპაგანდა, იქ მუშაობაც გაჩაღდა, თითქმის მთელი მოსახლეობა გამოვიდა მასობრივ კვირაობაზე. ამ კვირაობებში აქტიურად მონაწილეობდნენ კომკავშირელები და პიონერებიც.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ მასალებს, თუ როგორ მიმდინარეობს ორთვიური. ფაქტები მოწმობენ, რომ წარმატებებთან ერთად ამ საქმეში ზოგან არის ჩამორჩენა. ყველა დიდ სახლებში დღემდე არ არის შექმნილი თვითმოქმედი სარემონტო ბრიგადები მობინადრეთაგან. ორთვიურის გეგმაში ზოგან სერიოზულად დაზიანებულ სახლებსაც ვერ ნახავთ შეტანილს. თვით გეგმას ხშირ შემთხვევაში არ იცავენ. მთელი ძალები არ არის მობილიზებული ორთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის.

ეს ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების ამოცანა მოითხოვს მთელი პასუხისმგებლობით, მთელი მონდომებით მოვეკიდოთ ამ საქმეს. ომიანობის ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილებას „ქალაქებში საბინაო ფონდის შენარჩუნებისა და საბინაო მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ“. ეს დადგენილება განუხრელად უნდა შევასრულოთ.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის XII პლენუმზე ამხანაგი **კ. ნ. ჩარკვიანი** ამბობდა:

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ თბილისის ყოველი მცხოვრები თავისი მშვენიერი ქალაქის პატრიოტი იყოს და აქტიურ მონაწილეობას იღებდეს მის კეთილმოწყობაში.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სიამაყის გრძნობას აღგვიძრავდეს ჩვენი თბილისის, იმ ქალაქის ყოველი ქუჩა, ყოველი უბანი, რომელსაც ესოდენ დიდი შრომა და ენერგია მოანდომა ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ**, იმ ქალაქისა, სადაც აღიზარდა და ბოლშევიკურ პარტიულ ორგანიზაციებს საფუძველი ჩაუყარა ჩვენმა ბელადმა და მხედართმთავარმა ამხანაგმა **სტალინმა**“.

თბილისი

## წითელი არმიის თბილისის სახლის უფროსს მაიორ სიზის, პარტორგ მაიორ ჩოჩიას, ადგილკომის თავმჯდომარეს ამხ. კაბაჯიანს

გთხოვთ გადასცეთ ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა წითელი არმიის თბილისის სახლის მუშაკებს, რომლებმაც შეაგროვეს 83.080 მანეთი ფულად და 37.920 მანეთის სახელმწიფო სესხთა ობლიგაციები საბრძოლო თვითმფრინავთა ასაგებად.

**ი. სტალინი**

## საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა. 5 ოქტომბრისათვის პურის დამზადების გეგმა შესრულებულია 101,4 პროცენტით, აქედან: სავალდებულო ჩაბარებისა — 102 პროცენტით, მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურებისა — 102,4 პროცენტით და წითელი არმიის პურის ფონდში ჩაბარებისა — 100,5 პროცენტით.

## აფხაზეთმა ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ ვადაზე ადრე შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის 1944 წლის გეგმა. 5 ოქტომბრისათვის მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 6.528.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. გეგმა შესრულებულია 100,7 პროცენტით.

ჩაის კრეფა გრძელდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. მგელაძე**

აფხაზეთის ასსრსახკომსაბჭოს თავმჯდომარე **ა. მირცხულავა**

# საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

## 6 ოქტომბრის ოპერატიული ცნობა

**ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა, კუნძულ სარემაზე (ეზელზე) წარმატებით ჩატარებული სადესანტო ოპერაციის შედეგად, გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, ხელთ იგდეს კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში პლაცდარმი 40 კილომეტრი სიგანისა ფრონტით და 25 კილომეტრი სიღრმით, ამასთან დაიკავეს 80-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ორისარე, პაიდე, ვიალტა, რანაკიულა, კუნინგუსტე, ტაგავერე, რიდალა, მუსტლა, სარე, პამანა, მეტსკიულა, კარია, პიარსამა, რიაადი, ბატლა, კინუ, კოქსი, კახტლა.**

**რუმინეთის ქალაქ არადის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს რუმინეთ-უნგრეთის საზღვარი, გასტეხეს გერმანელ-უნგრელთა ჯარების წინააღმდეგობა და უნგრეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ქალაქი და დიდი რკინიგზის სადგური დიულა, ქალაქი და რკინიგზის კვანძი კეტეღხაზა, ქალაქი და რკინიგზის კვანძი მაკო, ქალაქი ბატონია, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 100-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები უზრა, ქადანი, გესტი, დიულავარი, ელეკი, ნად-კამარაში, ნად-ალმაში, კევერმეში, დომბირატოში, კუნაგოტა, მადიარბანხედიეში ვეგედ-ხაზა, მეზოხედიეში, პიტვაროში, ჩანადპალოტა, კირალხედეში, აპატფალვა.**

**იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ პეტროვგრადის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს დასახლებული პუნქტები ვოივოდა სტეპა, რუსკო-სელო, ნოვა ცრნია, ტორდა, კუმანე, ნოვი ბეჩეი.**

**რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად მოქმედებენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე დაიკავეს დასახლებული პუნქტები პოპოვიცა, ცრნაიკა, ლუკე, ჟაგუბიცა, შარბანოვაცი, მეტოვნიცა, გამზიგრადი, ლუბნიცა, გრლიშტე, ლენოვაცი, ვრბოვაცი, ბაჩევიცა, ზაგრადა, ბოროვაცი, ვრგიცა, მალი იზვორი.**

**ჩვენი ჯარები იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილებთან ერთად გარშემოერტყნენ გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვან ჯგუფებს მილანოვაცის, კლოკოჩევაცის, ზაეჩარის რაიონებში და წარმატებით ბრძოლებს ეწეოდნენ მათ მოსასპობად.**

**ფრონტის სხვა უბნებზე სწარმოებდა ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები და მზვერავები მოქმედებდნენ.**

**5 ოქტომბერს ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 90 ტანკი, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 7 თვითმფრინავი.**

* * *

ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა ღამით გადალახეს სრუტე ვიაიკე-ვიაინი და ხელთ იგდეს პლაცდარმი კუნძულ სარემაზე (ეზელი). კუნძულზე პირველნი გადასხდნენ ესტონეთის კორპუსის ნაწილები გენერალ-ლეიტენანტ პერნის მეთაურობით. საბჭოთა მებრძოლებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა, უკუაგდეს გერმანელები სანაპირო ზოლიდან და უზრუნველჰყვეს ჩვენი ქვეითი ჯარის ძირითადი ძალების, საველე და თვითმავალი არტილერიის გადასვლა. კუნძულისათვის ბრძოლების პირველ საათებშივე მოსპობილია 600-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. განაგრძობდნენ რა შეტევას, ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს კუნძულის სიღრმეში 25 კილომეტრით. ხელთ ვიგდეთ დავლა და ტყვეები.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარებოდა სადესანტო ნაწილებს კუნძულ სარემაზე (ეზელი). საბჭოთა მფრინავებმა დაბომბვითა და იერიშით ჩააჩუმეს მოწინააღმდეგის ბევრი საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეა. ამავე დროს ჩვენი ბომბდამშენები თავს დაესხნენ გერმანელთა ტრანსპორტებს კურესარის ნავსადგურში. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია 4 ტრანსპორტი. მოწინააღმდეგის რამდენიმე სხვა გემი, რომლებიც კურესარის ნავსადგურში იდგნენ, სერიოზულად არის დაზიანებული.

* * *

რუმინეთის ქალაქ არადის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ჩვენმა ქვეითებმა არტილერისტებისა და მფრინავების აქტიური დახმარებით გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა და შევიდნენ უნგრეთის ტერიტორიაზე. განავითარეს რა წარმატება, საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს უნგრეთის ქალაქი დიულა. გააფთრებული ბრძოლები მოხდა ქალაქ მაკოსათვის. გერმანელ-უნგრელთა ნაწილებმა მთელი რიგი კონტრიერიშები მოიტანეს ჩვენი შემტევი ჯარების წინააღმდეგ. კონტრიერიშების მოგერიებისას მოსპობილია გერმანელების ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი და 15 ტანკი. ჩვენმა ჯარებმა მოქანცეს მტერი, გადამწყვეტი დარტყმა აგემეს მას და დაიკავეს ქალაქი მაკო. ერთ უბანზე ჩვენი მოძრავი შენაერთები გარშემოერტყნენ მოწინააღმდეგის ჯგუფს და მოსპეს. გაჟლეტილია 500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 38 ქვემეხი, 150 ავტომანქანა ტვირთიანად და სხვა დავლა.

* * *

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ქალაქ პეტროვგრადის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი რუსკო-სელო. გერმანელები შეუპოვრად იცავდნენ ამ პუნქტს, რომელიც იფარავს ქალაქ ველიკა კიკინდის მისადგომებს. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მარჯვე შემოვლითი მანევრი მოახდინეს, ფლანგიდან მოუარეს მოწინააღმდეგეს და სწრაფი დარტყმით უკუაგდეს იგი. ბრძოლის ველზე დარჩა ასობით მტრის გვამი. ჩვენმა სხვა ნაწილებმა, რომელნიც ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით უტევდნენ, გარეკეს მოწინააღმდეგე მდინარე ტისას გაღმა და დაიკავეს დიდი დასახლებული პუნქტი ნოვი ბეჩეი. მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპობილია მდინარის გადალახვის ცდის დროს. 1.200 გერმანელი წამოყვანილია ტყვედ.

* * *

რუმინეთის ქალაქ ტურნუ-სევერინის სამხრეთ-დასავლეთით იუგოსლავიის ტერიტორიაზე ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. მილანოვაცის და კლოკოჩევაცის რაიონებში წითელი არმიის და იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები გარშემოერტყნენ მოწინააღმდეგეს, გარშემორტყმული ჯგუფის დიდმა რაზმმა მოახერხა შეჭრილიყო სოფელ პლავნაში. გააფთრებულ ქუჩის ბრძოლებში საბჭოთა და იუგოსლაველმა მებრძოლებმა გაჟლიტეს მტრის რაზმი. იმავე რაიონში ნ შენაერთის ნაწილები სდევნიდნენ გერმანელთა განადგურებული სამთო-მსროლელი დივიზიის ბატალიონს. ჩვენი მებრძოლები დაეწივნენ ჰიტლერელებს ვიწრო ხეობაში და ჩეხში მოიმწყვდიეს ისინი. ხანმოკლე წინააღმდეგობის შემდეგ 400-ზე მეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგვნებდა. სხვა უბანზე ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტები ლუბნიცა, ლენოვაცი, გრლიშტე და გარშემოერტყნენ გერმანელთა გარნიზონს, რომელიც იცავდა რკინიგზებისა და გზატკეცილთა დიდმნიშვნელოვან კვანძ ზაეჩარს. გერმანელების ყველა ცდა — გაერღვიათ გარშემორტყმის რკალი მარცხით დამთავრდა. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი დავლა და ტყვე.

* * *

ტურკის (დროგობიჩის ოლქის ქალაქი) სამხრეთით ჩვენმა მოძრავმა რაზმებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონი. დაკავებულია ერთი დასახლებული პუნქტი და სამი მაღლობი. საბჭოთა მეავტომატეებმა გაჟლიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი და ხელთ იგდეს 5 ქვემეხი, 21 ნაღმსატყორცნი და სამხარი მასალის საწყობი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ტორპედოსანმა თვითმფრინავებმა ჩასძირეს გერმანელთა ორი ტრანსპორტი 15 ათასი ტონა საერთო წყალწყვისა.

## გვარდიის პოლკოვნიკ ა. ბ. ჩიჩუას დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით **სამამულო ომის I ხარისხის** ორდენით დაჯილდოებულია გვარდიის პოლკოვნიკი **ანდრია ბესარიონის-ძე ჩიჩუა.**

## გაზეთი „კურიერული“ რუმინეთის მთავრობის შესახებ

**ბუქარესტი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთმა „კურიერულმა“ მოათავსა სტატია თავისი მიმომხილველისა, რომელიც სწერს:

„გუშინ ყველა დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა გადადგებოდა. ეჭვი არ არის, რომ ჩვენ სერიოზულ ცვლილებათა მიჯნაზე ვიმყოფებით. პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ნაციონალურ-დემოკრატიულ ბლოკს შეადგენენ, ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, რაც ორ დღეს გაგრძელდა, გადასწყვიტეს გამოვიდნენ მთავრობის შემადგენლობიდან. ბლოკის პარტიების ოთხი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ არ გამოსულა მთავრობის შემადგენლობიდან, მაგრამ მათი გადადგომა მხოლოდ უახლოესი მომავლის საკითხია. ნაციონალურ-დემოკრატიული ბლოკის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ მთავრობა, რომელიც შეეფერება რეჟიმის შეცვლასთან უშუალოდ დაკავშირებულ მოვლენებს, არ შეესაბამება მთელი სახელმწიფო აპარატისა და რუმინეთის მთელი ცხოვრების რეალურ გარდაქმნაზე უშუალოდ გადასვლის მოთხოვნებს. მინისტრთა საბჭოს სხდომები ყოველდღე ხდება და სამ-ოთხ საათს გრძელდება. მაგრამ სახელმწიფო აპარატის წმენდა არა თუ დამთავრდა, არამედ დაწყებულიც არ არის. ასეთსავე მდგომარეობაშია დანარჩენი დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზეც დამოკიდებულია 23 აგვისტომდე არსებული ატმოსფეროს შეცვლა.

ასეთი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს შეადგენს ძირფესვიანი განსხვავება პრინციპულ საკითხებში, რომელიც არსებობს მთავრობის ორ ძირითად მიმდინარეობას შორის. საზოგადოებრივი აზრი მღელვარებით მოელის ყველა დამნაშავის დასჯას. ამიტომ სავსებით გასაგებია ის აღშფოთება, რომელსაც იწვევს ანტონესკუს ბევრი აგენტის არა მარტო სამსახურში დატოვება, არამედ მათი უფრო მაღალ თანამდებობაზე დანიშვნაც. ამიტომ ოთხივე პოლიტიკურმა პარტიამ, რომელთა მეოხებითაც რუმინეთმა გასწყვიტა კავშირი ღერძთან და ფაშიზმთან, გადასწყვიტა იბრძოლოს მთავრობის ახალი შემადგენლობისათვის. მაგრამ ახალი მთავრობის შესაქმნელად საჭიროა გამომუშავებულ იქნას მოქმედების თუნდაც მინიმალური პროგრამა. კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ მთელი სახელმწიფო აპარატის დაუყოვნებლივ წმენდას. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 15 წლის მანძილზე რუმინეთში სახელმწიფო ბიუჯეტი ძლივს უძლებდა 240 ათასი მოსამსახურის შენახვას. ამჟამად სახელმწიფო იძულებულია შეინახოს 380 ათასი მოსამსახურე. ახალი მოსამსახურეები უმთავრესად დანიშნული არიან დიქტატურის დროს. ეკონომიური თვალსაზრისით ძირფესვიანი წმენდა აუცილებელია“.

# დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე

**მოქმედი არმია,** 6 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა ნაწილები, რომლებმაც იუგოსლავიის მთელი რიგი ქალაქები გაათავისუფლეს ფაშისტ დამპყრობთაგან, ძლევამოსილ შეტევას განაგრძობენ. გერმანელებს სასწრაფოდ გადაჰყავთ დუნაის ჩრდილოეთ ნაპირზე ახალი დივიზიები და შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწევიან. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლები მოხდა ერთი არხის ზღუდეზე, სადაც მოწინააღმდეგემ შექმნა მტკიცე თავდაცვა, რომელიც ემყარება გზებისა და დიდი დასახლებული პუნქტების განშლოებულ ქსელს. აქ ჩვენი მებრძოლები იგერიებენ გერმანელთა მრავალ კონტრიერიშს; გერმანელები ცდილობენ დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები და მდინარე ტიმოკს აქეთ გამოგვრეკონ ჩვენ. მაგრამ საბჭოთა ქვეგანაყოფები არა მარტო იგერიებენ ამ იერიშებს, არამედ უფრო და უფრო ავიწროებენ მტერს. მთელ რიგ ადგილებში არხი უკვე გადალახულია. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელ რიგ ადგილებში გარღვეულია მტრის თავდაცვის კიდევ ერთი ხაზი.

ძლიერი ბრძოლები მოხდა აგრეთვე რკინიგზის ზღუდეზე. გზის გასწვრივ განლაგებული სოფლები დასაყრდენ პუნქტებად იყო გადაქცეული, ამ დასაყრდენი პუნქტების მწკრივი თავდაცვის მძლავრ ხაზს შეადგენდა. როცა მაიორ ტელიატნიკოვის ბატალიონი ღამით ერთ სოფელს მიადგა, მზვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ სოფელთან საცეცხლე წერტების სისტემა მეტად ძლიერი იყო. ტელიატნიკოვმა გადასწყვიტა შემოევლო სოფლისათვის. დაღლილობის, ავდრისა და სიბნელის მიუხედავად, მსროლელებმა წარმატებით შეასრულეს ახალი ამოცანა. მათ გადასჭრეს გზა და განთიადისას მტრის ზურგში აღმოჩნდნენ. გერმანელებმა რომ ეს შენიშნეს, კონტრიერიში მოიტანეს. ლეიტენანტ უზარაშვილის ასეულმა მოიგერია კონტრიერიში. ჩვენმა ქვეგანაყოფმა მძლავრი დარტყმით განდევნა გერმანელები სოფლიდან.

მალე ბრძოლები ახალ ზღუდეზე გაჩაღდა. აქ მკვეთრად დაიერილი ადგილია, ბევრია ტყე, მაღლობი, მარჯვნივ კი მიიკლაკნება მთის მდინარე კარაში, რომელიც დუნაის ერთვის. მოწინააღმდეგემ გამოიყენა ადგილის ხელსაყრელი პირობები და აქაც მოიტანა მთელი რიგი კონტრიერიშები. მაგრამ წარმატებას ვერც ამ კონტრიერიშებით მიაღწია.

ქვეგანაყოფებმა, რომლებიც წინ მიიწევენ ვრაშაც-ბელგრადის გზატკეცილის გაყოლებით, ბრძოლით დაიკავეს დიდი დასაყრდენი პუნქტი ალიბუნარი, გამოუდგნენ მტერს და ბრძოლები გააჩაღეს ამ გზაზე მდებარე მეორე დასაყრდენ პუნქტ ვლადიმიროვაცისათვის, რომელიც აგრეთვე აღებულია ჩვენი ნაწილების მიერ.

იუგოსლავიის სოფლების მოსახლეობა ყველგან აღტაცებით ეგებება წითელ არმიას. სლოვენები და სერბიელები უამბობენ მებრძოლებს მხეცობის შესახებ, რასაც გერმანელები იუგოსლავიის ოკუპირებულ რაიონებში სჩადიან.

— გერმანელი ჯალათები,—უთხრა ჩვენს ოფიცერს მოხუცმა სერბიელმა პავლე პეტკამ,—ფიქრობდნენ ხიშტებითა და ბომბებით დაეშინებინათ სლავები, გამოველპეთ საპყრობილეებში და მონობის უღელი დაედგათ ჩვენთვის. მაგრამ მტერმა ვერ დაიმორჩილა ჩვენი ხალხი. ჩვენ ვიცოდით, რომ წითელი არმია განდევნიდა მტერს რუსეთის მიწაწყლიდან და დაგვეხმარებოდა. ახლა საბჭოთა მებრძოლებისა და ოფიცრების მხარდამხარ ვურტყამთ გერმანელებს.

**ა. მალიბაშევი**

# უკანასკნელი ცნობები

## მოკავშირეთა სადესანტო ჯარების გადასხმა საბერძნეთში

**ლონდონი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს მოკავშირეთა ხმელთაშუა ზღვის ძალების შტაბთან მყოფი თავისი კორესპონდენტის ცნობას, რომ მოკავშირეთა სადესანტო ნაწილები გადასხდნენ საბერძნეთში. გუშინ დილით გამოშვებულ ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია: „ადრიატიკაში მოქმედი სადესანტო ჯარების ნაწილები ამჟამად იმყოფებიან საბერძნეთის ზოგიერთ კუნძულზე და საბერძნეთის კონტინენტზე და პირისპირ შეხვდნენ მოწინააღმდეგეს. გადასხმა მოხდა როგორც საზღვაო გზით, ისე სატრანსპორტო თვითმფრინავთა საშუალებით. ჩამოშვებულ იქნა აგრეთვე პარაშუტისტები“.

გუშინ მოკავშირეთა ბალკანეთის საჰაერო ძალების შტაბის მიერ გამოშვებულ კომუნიკეში ნათქვამია: 3 ოქტომბერს ღამით სადესანტო ნაწილები შევიდნენ ქალაქ პატრასში (პატრი), პელოპონესის ჩრდილოეთ ნაწილში. ბერძენი პარტიზანები თანამშრომლობდნენ მოკავშირეთა ჯარებთან. საბერძნეთში გადამსხდარ ნაწილებს შორის არიან ინგლისის სადესანტო ნაწილები და ინგლისის საავიაციო პოლკის ქვეგანაყოფები.

ინგლისის „სპიტფაირის“ მარკის თვითმფრინავებმა პატრასის რაიონში ოპერაციები დაიწყეს გადასხმამდე რამდენიმე დღით ადრე. იმის გამო, რომ ოპერაციების დასაწყისში მტერს წინააღმდეგობა სრულებით არ გაუწევია, საჰაერო ძალების პირადმა შემადგენლობამ შესძლო შეექმნა დასაშვები მოედანი და განეხორციელებინა მომზადება დიდი ქვეგანაყოფების გადასასხმელად. ოპერაციას უფრო უბრალო ოკუპაციის ხასიათი ჰქონდა, ვიდრე შეჭრისა“.

**ლონდონი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს მოკავშირეთა ბალკანეთის საჰაერო ძალების შტაბის ცნობას, რომ პელოპონესზე გადასხმულმა მოკავშირეთა სადესანტო ნაწილებმა წაიწიეს წინ პატრასის აღმოსავლეთით, დაიკავეს რიონი და ბრძოლები გააჩაღეს მტრის წინააღმდეგ კორინთის ყურესთან. წამოყვანილია ტყვეთა მცირე რაოდენობა. პელოპონესის ნახევარკუნძულის სხვადასხვა ნაწილებში კაპიტულაცია მოახდინეს რალისის მარიონეტული „მთავრობის“ მიერ შექმნილმა მცველმა ბატალიონებმა. ალბანეთში არახელსაყრელი ამინდი ზღუდავდა ოპერაციებს. ხდებოდა მხოლოდ პატრულების შეტაკება და სწარმოებდა საარტილერიო სროლა. მოკავშირეთა არტილერია კვლავ უშენდა კუნძულებიდან დალმაციის სანაპიროს.

## ფინელთა ომი გერმანელების წინააღმდეგ ჩრდილოეთში

**სტოკჰოლმი,** 5 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „სუომენ სოსიალიდემოკრაატი“ 4 ოქტომბრის მოწინავე სტატიაში სათაურით „ჩვენი ომი ჩრდილოეთში“ სწერს: ფინელი ხალხის დიდი უმრავლესობისათვის, ხოლო, შესაძლებელია, ყველასთვისაც ახალი ომი ჩრდილოეთში საკმაოდ უცნაურ მოვლენას წარმოადგენს. ბევრი ჩვენგანი იმდენად მიამიტი იყო, რომ იმედი ჰქონდა ფინეთიდან გერმანელები ნებაყოფლობით წავიდოდნენ. მაგრამ გერმანიის სარდლობამ, როგორც ყველაფრის მიხედვით სჩანს, გადასწყვიტა გაატაროს ფინეთში სტალინგრადის დროიდან დაწყებული გვიანი ტაქტიკა. მაშასადამე, ფინეთი ახლა იძულებულია შეუდგეს სასტიკს და, შესაძლოა, ხანგრძლივ ომს. ჩვენი ძალები უნდა მიმართულ იქნას ჩრდილოეთიდან მომავალი საფრთხისაკენ. გერმანელთა მოქმედებამ ფინეთში დაგვანახვა, თუ რას ესწრაფვიან ისინი. მათი მისწრაფება სჩანს აგრეთვე მათი ყალბი რადიოპროპაგანდიდან, რომლის თანახმად ფინელ ხალხში თითქოს განხეთქილება მოხდა და რომ სამხრეთ ფინეთში სისხლიანი ტერორია, ხოლო ჩრდილოეთ ფინეთში თითქოს შექმნილია „ნაციონალური მთავრობა“. ეს აგრეთვე იმას მოწმობს, თუ როგორი იყო ჩვენი „თანამებრძოლი“. ნაცისტური გერმანიის სისტემა თავიდან ბოლომდე სიცრუისა და მოტყუებისაგან შესდგება“.

## რუზველტის მეორე წინასაარჩევნო სიტყვა

**ვაშინგტონი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). რუზველტმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც მიმართა, უმთავრესად, დემოკრატიული პარტიის მუშაკთა კრებებს მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. იგი მტკიცედ მოუწოდებდა ამომრჩეველთა უაღრესად ფართო რეგისტრაციისაკენ, რამაც მომავალ უმნიშვნელოვანეს არჩევნებში უნდა უზრუნველჰყოს ამერიკელების უმეტესობის შეხედულებათა გადაჭრით ასახვა. რუზველტმა მკვეთრად გაილაშქრა კონგრესის წევრ რესპუბლიკელთა წინააღმდეგ, რომელნიც საარჩევნო კამპანიაში მიმართავენ „წითელი საფრთხით“ დაშინებას. მან პირობა დასდო, რომ შეასუსტებს ომიანობის დროის შეზღუდვებს სამოქალაქო ცხოვრებაში, როგორც კი ამას შესაძლებელს გახდის გამარჯვება. რუზველტმა განაცხადა, რომ ამერიკელები ამაყობენ თავიანთი კავშირით სსრ კავშირის გულად ხალხთან არა მარტო ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. რუზველტმა მოუწოდა ყველა მოკავშირეთა უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობისაკენ მტკიცე ზავის დამყარების საქმეში.

## მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

**ლონდონი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ბომბდამშენების დიდი შენაერთები 5 ოქტომბერს ღამით თავს დაესხნენ გერმანიის დიდმნიშვნელოვან რკინიგზის კვანძ საარბრიუკენს. დაბომბილ იქნა აგრეთვე ბერლინი.

სააგენტოს სხვა ცნობაში აღნიშნულია, რომ ათასზე მეტი „მფრინავი სიმაგრე“ და „ლიბერეიტორი“ თავს დაესხა დამხარისხებელ სადგურებს კელნსა და რაინში და აეროდრომებს ლიპშტადტში, განდორფსა და პადერბორნში.

## იაპონიის ჯარები გადასხდნენ ფუჯოუს რაიონში

**ჩუნცინი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო აქვეყნებს ჩინეთის სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ 27 სექტემბერს დილით იაპონელთა გემები შევიდნენ მდინარე მინძიანის შესართავში და იცავდნენ იაპონელთა საკავალერიო ნაწილებს ფუჯოუს რაიონში (ნავსადგური ჩინეთის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე) გადასხმისას. 28 სექტემბერს საღამოს იაპონელებმა წინ წაიწიეს დასავლეთისაკენ. ბრძოლები მიმდინარეობს 10 კილომეტრზე ფუჯოუდან.

## თვითმფრინავ-ყუმბარები ინგლისის თავზე

**ლონდონი,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 5 ოქტომბერს საღამოს სამხრეთ ინგლისის სანაპიროს თავზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან გამოჩნდნენ გერმანიის თვითმფრინავ-ყუმბარები. სანაპირო დაცვის არტილერიამ გააფთრებული ცეცხლი დაუშინა. როგორც სჩანს, თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა „ჰაინკელის“ მარკის რამდენიმე თვითმფრინავი; მათ ბუქსირით მოჰყავდათ თვითმფრინავ-ყუმბარები, რომლებიც მოხსნილ იქნა თითქმის ერთდროულად. იერიში რამდენიმე წუთს გაგრძელდა. თვითმფრინავ-ყუმბარის ჩამოვარდნის შედეგად ერთ-ერთ ქუჩაზე დაინგრა რამდენიმე შენობა.

## ბულგარეთის მთავრობის დეკლარაცია

**სოფია,** 6 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს რადიოთი გამოცხადდა ბულგარეთის პრემიერ-მინისტრ კიმონ გეორგიევის დეკლარაცია.

„მთავრობამ,—აღნიშნულია დეკლარაციაში, — გამოხატავს რა ხალხის ნება-სურვილს, რომელიც ყველა დამნაშავის დასჯას მოითხოვს, გამოსცა კანონი, რომლის საფუძველზეც სამართალში მიცემულ იქნება ყველა ის პირი, ვინც თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში ბულგარეთის ჩაბმას და სამხედრო დანაშაულობანი ჩაიდინა ამ დანაშაულებრივი პოლიტიკის განხორციელების დროს. ვერც ერთი დამნაშავე ვერ დააღწევს თავს ხალხის სამართლიან მსჯავრს“.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური

## მონდომება, ინიციატივა, ორგანიზებულობა

— უმჯობესია მანამდე შევაკეთოთ დაზიანებული სახურავი, სანამ იქიდან ჩამოსული წყალი ჭერსა და კედლებს დააზიანებდეს,— სთქვა ერთმა მობინადრემ.

— კიბის საფეხურები და მოაჯირებიც უნდა გავარემონტოთ, ჩამრეცხი ჭებიც შესაკეთებელია, საპირფარეშოებს კარები უნდა ჩამოვკიდოთ, — დაუმატა მეორემ.

— ფანჯრების სარკმელები ამოსაშენებელია, საჭიროა სახანძრო ონკანს აგურის კედლები შემოვუშენოთ. მთავარია სამშენებლო მასალების შოვნა, მაგრამ ამასაც მოვახერხებთ, ეზოში მიმოფანტული აგური გამოგვადგება, ცემენტის ნაწილს ადგილზევე ვიშოვით, ზოგსაც საბინაო სამმართველო დაგვეხმარება.

ასე მსჯელობდნენ რამდენიმე დღის წინათ მობინადრეთა კრებაზე ორჯონიკიძის რაიონის პეროვსკაიას ქუჩაზე მდებარე № 13 სახლის (სახლმმართველი ამხ. ლიპარტელიანი) მობინადრეები. მათ ამ კრებაზე ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი აზრი, შეადგინეს სახლის შეკეთების გეგმა და გადასწყვიტეს კვირაობის მოწყობა.

კვირაობა ორგანიზებულად ჩატარდა. სამუშაოზე ყველა მობინადრე გამოვიდა. ზოგმა კარების საკიდურები მოიტანა, ზოგმა ცემენტი, თიხა და ლურსმანი. ეზოში მიმოფანტული აგური პიონერებმა გ. ნიკოლაიშვილმა, ლ. მარტინოვმა, თ. მიმინოშვილმა და სხვებმა შეაგროვეს. გაჩაღდა მუშაობა.

ასეთი კვირაობა აქ ორჯერ მოაწყეს.

მობინადრეებმა ჩამრეცხი ჭები ცემენტის ხსნარით შეაკეთეს, საპირფარეშოს კარები ჩამოჰკიდეს, ფანჯრის სარკმელები აგურით ამოაშენეს და დუღაბით დახურეს, სახანძრო ონკანს ირგვლივ კედლები შემოუშენეს, სანაგვე ყუთის ერთი კედელი ახლად ააშენეს, კიბის მოაჯირები გააკეთეს, საფეხურები კი გამოსცვალეს, ნაწრეტი წყლისათვის მუდმივი გასასვლელი მოაწყეს, ქარისაგან აყრილი სახურავი ლარტყებზე კარგად გაამაგრეს. სახურავის სრული რემონტი ამ დღეებში დამთავრდება.

აი რა შეუძლია მონდომებას, ინიციატივას და ორგანიზებულობას.

**გ. კატოშვილი**

## რა განუმარტეს მობინადრეებს?

5 ოქტომბრამდე სტალინის რაიონში მობინადრეთა ძალებითა და შინაგანი რესურსების გამოყენებით ბევრი სახლი შეაკეთეს. სულ შესრულებულია 36.000 მანეთის სამუშაოები. მაგრამ მეტის გაკეთება შეიძლებოდა. სერიოზულად დაზიანებული ბევრი სახლის შეკეთებაზე ჯერაც არავის უფიქრია. მაგალითად, კალინინის ქუჩაზე მდებარე № 104 სახლში გ. მურადოვის, ს. სოლოღაშვილის, გ. ფაფახშიანისა და ევ. კალანდარიშვილის ბინების ჭერი დაზიანებულია, ასეთივე მდგომარეობაშია კანალიზაციის მილები. გაფუჭებულია საპირფარეშო. ეს სახლი კი შეკეთების გეგმაში არ არის შეტანილი.

ტრამვაელთა სახლის ბინებში ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს. რამდენიმე თვეა ამ სახლის სარდაფი სავსეა აშმორებული წყლით. ზოგიერთი ბინის ჭერი ინგრევა მესამე სართულში კანალიზაციის მილის გაფუჭების გამო. უკვე ჩამოინგრა ნ. დათუაშვილისა და გ. საათაშვილის ბინების ჭერი. მაგრამ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ამ მხრივ არავითარი ზომები არ მიუღია. წესიერად არ იქცევიან მობინადრეები ჯალაღანია, დავიდოვი და კაპანაძე, რომლებიც წყლის ონკანს ღიად სტოვებენ. სახლის რწმუნებული ს. რამიშვილი და სახლმმართველი ქოიავა კი ამ მდგომარეობას გულგრილად უცქერიან.

პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე № 153 სახლის მობინადრე ე. ბოლდარევას ბინას ჭერი ოდნავ აქვს დაზიანებული. მისი რემონტი თვით მობინადრეს შეუძლია, მაგრამ არ აკეთებს. მობინადრეების ა. რევაზოვასა და ნაზარბეგოვას (პლეხანოვის პროსპექტი № 151) ბინების წინ ნაგავი ჰყრია. ისინი კი აცხადებენ: „რა გვენაღვლება, ტყუილად ხომ არ მიმდინარეობს კეთილმოწყობის ორთვიური. კეთილ ინებონ და მომაგრებულმა პირებმა დაასუფთაონო“.

პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე № 137 სახლის მობინადრეების ნ. მეტრეველისა და ვ. პრონუნის ბინებს კიბეები ოდნავ დაზიანებული აქვთ, მათ შეკეთებას სულ ცოტა შრომა სჭირდება, მაგრამ ისინიც „ზემოდან დახმარებას“ ელოდებიან.

ეს იმას მოწმობს, რომ სტალინის რაიონში მობინადრეებს სათანადოდ არ განემარტათ საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიურის მნიშვნელობა.

**შ. ჭოჭუა**

## სახლებს შეკეთება ესაჭიროება

მოლოტოვის რაიონში საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიურმა პირველ ორ დეკადაში ფართო გასაქანი ვერ ჰპოვა. არ ეწყობოდა მასობრივი კვირაობანი. გეგმის შესრულებაში დიდი ჩამორჩენა იყო.

ახლა ეს მდგომარეობა გამოსწორებულია. ხშირად ეწყობა კვირაობა, მობინადრეები კოლექტიურად არემონტებენ სახლების სახურავებს, კანალიზაციას, წყალსადენის გაყვანილობას, ასუფთავებენ ეზოებსა და საერთო სარგებლობის ადგილებს.

უვარგისი ლარტყების, დამტვრეული კრამიტის, კიბის დაზიანებული მოედნის და 5 საფეხურის ახლით შეცვლა, დაგროვებული ნაგავის ეზოშივე ღრმად ჩამარხვა, ორღობორღო ადგილების ამოვსება და გასწორება,—ასეთი იყო კალინინის ქუჩაზე მდებარე № 37 სახლის (სახლმმართველი ამხ. პაპალაშვილი) მობინადრეთა გეგმა ბინების შეკეთების ორთვიურთან დაკავშირებით.

სახლმმართველმა და მობინადრეებმა სამშენებლო მასალები წინასწარ მოიმარაგეს. 24 სექტემბერს მათ მოაწყეს მასობრივი კვირაობა. სახლის სახურავის რემონტი და სხვა სადურგლო სამუშაოები მობინადრე დურგალმა ზალიევმა შეასრულა. წყალსადენის გაყვანილობა დ. მჭედლიძემ შეაკეთა. ეზო გასწმინდეს მობინადრეებმა თ. სუხიშვილმა, ვ. მეზვრიშვილმა და თ. ლეჟავამ. სულ კვირაობაში მონაწილეობა მიიღო 27 მობინადრემ.

კვირაობის ჩატარებაში მობინადრეებს დახმარება გაუწიეს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კ. ციცაგმა, მოლოტოვის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. კ. ამირიძემ და რაიონის საბინაო სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ამხ. გ. მაჭარაშვილმა.

კვირაობა კარგად ჩატარდა აგრეთვე პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე № 82 სახლში (სახლმმართველი ამხ. ბასმანოვა), სადაც 24 მობინადრემ ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა.

რაიონში 257 სახლიდან დღემდე შეკეთებულია 88. დანარჩენი სახლები რემონტს ელიან.

**გ. გეგუთელი**

## სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა...

მობინადრეთა ინიციატივით და მონაწილეობით კიროვის რაიონში რამდენიმე სახლი შეკეთდა. ეს იყო ორთვიურის დაწყებამდე. ამ თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა თბილისის ყველა რაიონის საცხოვრებელი სახლების მობინადრეთა შორის. მაგრამ კიროვის რაისაბჭოს კომუნალური განყოფილება და საბინაო სამმართველო ბოლომდე ვერ გაუძღვნენ მობინადრეთა კარგ წამოწყებას. ისინი თვითკმაყოფილებას მიეცნენ.

როგორ მიმდინარეობს კიროვის რაიონში საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის ორთვიური?

— არსებული ცნობების მიხედვით უნდა განვაცხადო, რომ კიროვის რაიონმა მობინადრეთა შრომითი მონაწილეობით საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობისა და რემონტის საქმეში თბილისის რაიონებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა,—განაცხადა კიროვის რაისაბჭოს მდივანმა ამხ. იოსელიანმა.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მართალი არ აღმოჩნდა, ცნობები და ციფრები სულ სხვას მეტყველებენ.

რაიონში შესაკეთებლად 211 სახლი აღირიცხეს. აქედან 35 სახლში მობინადრეთა კრებები ჯერაც არ ჩაუტარებიათ. დღემდე არ შეუსწავლიათ, თუ რა აქვს შესაკეთებელი 35 შენობას და არ იციან რა სამშენებლო მასალა მოიპოვება ადგილზე.

211 სახლიდან ერთი თვის მანძილზე რაიონში მხოლოდ 22 სახლი შეაკეთეს. ეს არის და ეს. განა პირველ ადგილზე ასეთი მაჩვენებლით შეიძლება გახვიდე?

ზამთარი ახლოვდება. კიროვის რაიონში საბინაო ფონდის საზამთროდ მომზადება სუსტად მიმდინარეობს. ამ საკითხს კიროვის რაისაბჭომ და კომუნალურმა განყოფილებამ (უფროსი ამხ. შავიშვილი) მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ.

**გ. ხენგავა**

## მომგებიანი ანაბრების მოგებათა მეოთხე ტირაჟი

5 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოხდა საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებში შეტანილი მომგებიანი ანაბრების მეოთხე ტირაჟი, რომელსაც დაესწრნენ თბილისის პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ტირაჟის ხელმძღვანელ კომისიაში შედიოდნენ ამხ. კ. ციმაკურიძე (თავმჯდომარე), ვ. ბურჯანაძე, დ. მჭედლიშვილი, შ. ლამბაშიძე, პროფესორი კ. ერისთავი, თ. როსტომაშვილი, დამსახურებული პედაგოგი ამხ. კარტოზია და სხვ.

გათამაშებულ იქნა სულ 25 მოგება. შეტანილი ანაბრების საშუალო თანხის 200-პროცენტიანი მოგება ხვდა საქართველოს ყველა შემნახველ სალაროში მოთავსებული მომგებიანი ანაბრების 484 ნომერს. ასპროცენტიანი მოგება ხვდა ანგარიშის ნომრებს — 27 და 237. ანაბრების საშუალო თანხის 50-პროცენტიანი მოგება ხვდა ანაბრების ანგარიშების შემდეგ ნომრებს — 60, 82, 135, 198, 255, 302, 347, 365, 415, 477, 543, 598, 637, 642, 688, 741, 772, 836, 872, 917, 949 962.

გათამაშებას მრავალი მშრომელი დაესწრო.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ობსერვატორიაში იდგმება პოლარული ღერძი. ამ უკანასკნელზე შემდეგში დაიდგმება ფოტოგრაფიული კამერები. მათი დადგმით ობსერვატორიას შეემატება ერთი ახალი დასამზერი იარაღი. პოლარული ღერძი, დამზადებული ლენინგრადის ასტრონომიული ინსტიტუტის მიერ ომის წინ, აბასთუმანში ჩამოტანილ იქნა 1941 წლის შემოდგომაზე.

* * *

დაიწყო მზადება მზის სრული დაბნელების დამზერისათვის, რომელიც 1946 წლის 9 ივლისს მოხდება სსრ კავშირის ცენტრალურ რაიონებში. ობსერვატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მ. ა. ვაშაკიძე ამზადებს სპეციალურ პოლარიმეტრულ დანადგარს მზის შარავანდედის შიდა ნაწილების პოლარიზაციის გამოსაკვლევად.

* * *

ობსერვატორიაში მიღებულია ანგარიში წყნარი ოკეანის ასტრონომიული საზოგადოებისა, რომელიც ასტრონომიულ ობსერვატორიებს აჯილდოებს დონოჰოეს მედლით ახალი კომეტების აღმოჩენისათვის. რვა მედლიდან, რომლებიც მიკუთვნებულია 1942 წლის აღმოჩენებისათვის, ერთით აღნიშნულია კომეტა, რომელიც 1942 წლის 26 დეკემბერს აღმოაჩინა აბასთუმნის ობსერვატორიის მეცნიერმა თანამშრომელმა გ. ა. თევზაძემ.

## ორსულ დედათა სანატორიუმი

პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ დედაქალაქის სოკოლნიკის რაიონში მოაწყო ჩვენს ქვეყანაში პირველი სანატორიუმი ორსულ ქალთათვის.

დამსვენებლებს საჭმელი დღეში ოთხჯერ ეძლევათ. დაწესებულია სამედიცინო პერსონალის სადღეღამისო მორიგეობა. სანატორიუმთან არის ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი. მუშაობენ მხატვრული ქარგვისა და ჭრაკერვის წრეები, იმართება ლექციები, კონცერტები, კინოსეანსები. (საქდესი).

# პარტიული ცხოვრება

## მზრუნველობით ვზარდოთ საკოლმეურნეო კადრები

სამამულო ომის წლებში საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მიერ ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 55 ამხანაგი. სანამ ამა თუ იმ ამხანაგს პასუხსაგებ თანამდებობაზე დავაწინაურებდით, გულმოდგინედ ვამოწმებდით მის პოლიტიკურ მხარეს, ცოდნას, გამოცდილებას, ორგანიზაციული მუშაობის უნარს.

განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ კადრების მომზადებას კოლმეურნეობებისათვის. 100-ზე მეტმა კაცმა გაიარა ბრიგადირის, რგოლის ხელმძღვანელის, ფერმის გამგისა და მოანგარიშის გადასამზადებელი კურსები. საარაიონთაშორისო კურსები გაიარა 62 ამხანაგმა. ამას გარდა, თბილისში კოლმეურნეობის თავმჯდომარის ერთთვიანი გადასამზადებელი კურსები დაამთავრა 18 კაცმა.

ბევრი ახალდაწინაურებული ახლა წარმატებით უძღვება საქმეს. სოფელ ჯგალის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ვ. კვარაცხელია. მართალია მას პირველ ხანებში გაუძნელდა მუშაობა და კოლმეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩა, მაგრამ რაიკომმა დროზე მიაქცია ამ მდგომარეობას ყურადღება, შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებისათვის დაწესდა მტკიცე კონტროლი. რაიკომმა გამოცდილი მუშაკი მიამაგრა კოლმეურნეობას მუშაობაში დახმარებისათვის. ამის შედეგად კოლმეურნეობამ მალე დააღწია თავი ჩამორჩენას და მოწინავე ადგილი დაიკავა; 25 აპრილამდე მან გადაჭარბებით შეასრულა საგაზაფხულო თესვის გეგმები. იგი ყოველთვის ასრულებს ჩაის ფოთლის კრეფის თვიურ დავალებებსაც და ამასთან 35 პროცენტის ნაცვლად 67 პროცენტს პირველი ხარისხის ფოთოლს იძლევა.

სოფელ ჯვარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დაწინაურებულ იქნა ამხ. ა. ჭანტურია, რომელსაც რაიკომმა დახმარება გაუწია და ახლა ის ჩინებულად მუშაობს. შარშან კოლმეურნეობამ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. წელს იგი კიდევ უკეთეს შედეგებს აღწევს.

სოფელ ჯგალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ყოფილი მოანგარიშე ამხ. ნადია კვარაცხელია დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“. ეს მან დაიმსახურა უნარიანი, თავდადებული მუშაობით.

რაიონის ბევრი კოლმეურნეობა, რომლებსაც ახლადდაწინაურებული ამხანაგები ხელმძღვანელობენ, სამამულო ომის დღეებში მილიონერი გახდა. ამ მხრივ აღსანიშნავია სოფელ ფახულანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ჭითანავა). შარშან ამ კოლმეურნეობაში შრომადღეზე დაარიგეს 21 მანეთი ფულად, 2,5 კილოგრამი სიმინდი, აგრეთვე ლობიო, ღვინო და სხვა პროდუქტები. კარგად იმუშავეს და მილიონერი გახდნენ აგრეთვე სოფელ ფახულანის მახარაძის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ა. გუჩუა) და სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ამხ. ე. გერგედავა) კოლმეურნეობები.

საბჭოთა პატრიოტები, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგულება—აი ვინ არის ჩვენი რეზერვი. ამჟამად რეზერვში გვყავს 70-მდე ამხანაგი. მათთან სისტემატურად ტარდება თათბირები, ეწყობა ლექციები და საუბრები.

კადრების აღზრდა-დაწინაურების საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი. უკანასკნელ დრომდე რაიკომის კადრების განყოფილებას არ გააჩნდა რეზერვთან მუშაობის გეგმა, სისტემატური ხასიათი არ ჰქონია რეზერვში მყოფი ამხანაგებისთვის დავალების მიცემას, მოწესრიგებული არ იყო ნომენკლატურის მუშაკთა აღრიცხვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენთან ხშირად ხდებოდა სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეთა შეცვლა. მაგალითად, 1943 წლის 1 იანვრიდან დღემდე რაიონში მშრომელთა დეპუტატების 11 სასოფლო საბჭოდან შვიდში გამოიცვალა თავმჯდომარე, ხოლო სოფელ ლიაში თავმჯდომარე ოთხჯერ გამოიცვალა. ამის მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის არ ვიცავდით ამა თუ იმ ამხანაგის წინასწარ საფუძვლიანად შესწავლის წესს. ლიის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ სახელდახელოდ დაწინაურებულმა ამხ. გ. ხასიამ სულ ერთ თვეს იმუშავა. მან თავი ვერ გაართვა საქმეს და განთავისუფლებულ იქნა. ასეთი შემთხვევები აღარ უნდა განმეორდეს.

არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრით, კადრებთან მუშაობის გაძლიერებით, უნარიანი მუშაკების ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებით კიდევ უფრო გავამრავლებთ ჩვენი რაიონის მიღწევებს და მივცემთ ფრონტსა და სამშობლოს უფრო მეტ პროდუქტებს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებისათვის.

**ი. გულუა**

საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი კადრების დარგში.

## საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომების პლენუმები

### წითელწყარო

(„კომუნისტის საკუთარი კორესპონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორი საკითხი: რაიკომის ბიუროს ანგარიში 1943 წლის 29 მაისიდან 1944 წლის 12 სექტემბრამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ და ორგანიზაციული საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. შ. გელაშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ვლ. უთალიშვილმა, ვ. მანგოშვილმა, ალ. კაჭარავამ, ივ. ფიროსმანაშვილმა, ვ. ძიმისტარიშვილმა, არ. ბიწაძემ, ი. ინდაშვილმა და ალ. ბაკაშვილმა.

პლენუმზე აღინიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. კოლმეურნეობებში საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. წითელწყაროს და შირაქის მტს-ების სატრაქტორო ბრიგადები საშემოდგომო ხვნაზე სრული დატვირთვით არ მუშაობენ. ჩამორჩენაა სათესლე მასალის გაწმენდა-შემოწმებაში, თაგვთან ბრძოლა ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს.

პლენუმზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ტრესტ „საქართველოს ნავთის“ მირზაანის სარეწებში შრომა მოუწესრიგებელია, ნაკლებად ზრუნავენ ახალმიღებული მუშების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, ჩამორჩენილია საძიებო-კვლევითი მუშაობა. მირზაანის ნავთსარეწებმა ნავთის ამოღების ნახევარი წლის გეგმა ვერ შეასრულეს და ვერც მესამე კვარტალის დავალებას ასრულებენ.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადაყვანის გამო საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობიდან გაათავისუფლა ამხ. შ. გელაშვილი. საქართველოს კ. პ. (ბ) წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ვ. მირიანაშვილი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ს. ხოშტარიამ.

**შ. მოლაშვილი**

### საჩხერე

საქართველოს კ. პ. (ბ) საჩხერის რაიკომის მორიგმა მე-10 პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების საჩხერის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ქრისტესიაშვილის მოხსენება საშემოდგომო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ. პლენუმზე აღინიშნა, რომ საშემოდგომო ხვნასა და თესვაში ჩამორჩნენ სხვიტორის აკ. წერეთლის სახელობის, საჩხერის მიქოიანის სახელობის, უზუნთის სტალინის სახელობის და მოხვის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობები. მერჯევის ენგელსის სახელობის და წინის კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში ნახნავი ცუდი ხარისხისაა.

მეორე საკითხად განხილულ იქნა თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების მიერ თავდაცვითი კადრების მომზადების მიმდინარეობა.

პლენუმმა განიხილა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში მიღების ხაზით ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიებანი.

**შ. ნოზაძე**

### ქუთაისი

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მესამე პლენუმმა განიხილა მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ლ. მაღლაფერიძის მოხსენება რაიონის კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ.

— მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში,— სთქვა მომხსენებელმა,—შრომა კარგადაა მოწყობილი. მზრუნველობით უვლიან პირუტყვს, რის შედეგად იზრდება საქონლის სულადობა და პროდუქტულობა.

პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში შრომა მოუწესრიგებელია, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო გეგმების დროზე შეუსრულებლობას. სოფელ ღლნორისის კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავში“ წელს გეგმაზე 30 პროცენტით ნაკლები მიწა დაამუშავეს და ამასთან თესვა 15 დღის დაგვიანებით დაამთავრეს.

მეორე საკითხზე პარტიაში მიღების შესახებ მოხსენება გააკეთა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. შ. ჯიშკარიანმა.

პლენუმმა მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

**რ. ბეროძე**



სევასტოპოლში. სევასტოპოლელთა დაძაბულ შრომასა და დასვენებას ფხიზლად იცავენ გვარდიელი გამანადგურებლები ჰაერიდან და გვარდიელი მეზენიტეები ხმელეთიდან.

ფოტო ვ. ხალდეისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# დეპეშები

## საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

**ლონდონი**, 6 ოქტომბერი. (საქდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მოკავშირეთა ჯარებმა გადასჭრეს ჰოლანდიის საზღვარი ანტვერპენის ჩრდილოეთით, პუტეს ახლოს. მოკავშირეთა ჯარები კვლავ მიიწევენ წინ ბაარლე-ნასაუს და ჰოპელის ჩრდილოეთით. გილვარენბეეკისაკენ მიმავალი გზის რაიონში წარმატებითი მოქმედების მეოხებით მოკავშირეთა ჯარები მიუახლოვდნენ ტილბურგს და 3 მილზე იმყოფებიან მისგან. ოვერლოონის რაიონში დასაყრდენ პუნქტებში გამაგრებულ გერმანელთა შეუპოვარი წინააღმდეგობა აფერხებს მოკავშირეთა ჯარების წინსვლას.

აახენის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს დაახლოებით ერთი მილით გერბახის აღმოსავლეთით, ამასთან მტრის ძლიერ წინააღმდეგობას ხვდებიან. უბახის ახლოს მოკავშირეთა ჯარებმა წინ წაიწიეს, მიუხედავად მოწინააღმდეგის ინტენსიური საარტილერიო და ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლისა. მოკავშირეთა ჯარებმა მიაღწიეს ბეგენდორფს.

ნანსის ჩრდილოეთით ბრძოლები გრძელდება.

მძიმე [illegible] ავიაგამანადგურებელთა თანხლებით იერიში მიიტანეს ვილჰელმსჰაფენზე.

დროებითი ზავის პირობების თანახმად დიუნკერკიდან ევაკუირებულია 19 ათასი მცხოვრები.

**ლონდონი**, 6 ოქტომბერი. (საქდესი). საომარი მოქმედების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მყოფი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში ფრონტის ცენტრალურ სექტორში მე-5 არმიის ამერიკელთა და ინგლისელთა ნაწილები წინსვლას განაგრძობდნენ. ამერიკელთა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ლოიანო და მოწინააღმდეგისაგან გასწმინდეს ქალაქი მონცუნო. მე-8 არმიის ინდოელთა ნაწილებმა წინ წაიწიეს მთიან ადგილზე რიმინის დასავლეთით და დაიკავეს სოფელი ვინიოლა. დაბლობში მოქმედება პატრულების აქტივობით განისაზღვრებოდა.

ხმელთაშუა ზღვის ავიაციამ დაახლოებით 200 თვითმფრინავგაფრენა მოახდინა.

## პოლონეთის განთავისუფლების კომიტეტი საფრანგეთში

**პარიზი**, 3 ოქტომბერი. (საქდესი). საფრანგეთში მილიონნახევრამდე პოლონელი ითვლება. მათ მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. საფრანგეთის სხვადასხვა რაიონში არალეგალურად შეიქმნა ნაციონალური განთავისუფლების ადგილობრივი კომიტეტები, რომლებშიც შედიოდნენ კათოლიკეები, პილსუდსკელები-სოციალისტები, კომუნისტები, სინდიკალისტები და საგანმანათლებლო ორგანიზაციები. ამ კომიტეტებმა, რომლებიც 26 პოლონურ ორგანიზაციას აერთიანებენ, დაიწყეს ფრანტირერთა და პარტიზანთა ჯგუფების შექმნა ფრანგთა პარტიზანული მოძრაობის ფარგლებში.

1944 წლის იანვარში პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტები შეიკრიბნენ არალეგალურ კონფერენციაზე, რომელზეც შეიქმნა ნაციონალური განთავისუფლების ცენტრალური კომიტეტი. ამ კომიტეტში წარმოდგენილი იყვნენ მთელი საფრანგეთის პოლონელები. კომიტეტის მიერ გამოცხადებული ძირითადი პრინციპები შემდეგია: ბრძოლა დამპყრობთა წინააღმდეგ დამოუკიდებელი ძლიერი და დემოკრატიული პოლონეთისათვის, მჭიდრო თანამშრომლობა ფრანგთა წინააღმდეგობის მოძრაობასთან, პროპაგანდა ყველა გაერთიანებულ ერთა კავშირის დასაცავად და, კერძოდ, იმის დასაცავად, რომ აღორძინებულ პოლონეთს კავშირი ჰქონდეს სსრ კავშირთან ევროპის ყველა სლავ ხალხთა ძმობის ფარგლებში.

პოლონეთის შეიარაღებული ძალები საფრანგეთში 15 ათას მებრძოლს ითვლიან, რომელნიც ფრანგებთან ერთად მონაწილეობას იღებენ გერმანელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამა წლის აპრილში შესდგა მეორე კონფერენცია.

უკანასკნელ ხანს პოლონეთის კომიტეტი საფრანგეთში სათავეში ედგა 100 ადგილობრივ ორგანიზაციას და 11 სადეპარტამენტო კომიტეტს. პოლონელთა პატრიოტული ორგანიზაციები საფრანგეთში გაერთიანებული არიან პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის მანიფესტის საფუძველზე.

საფრანგეთის ტერიტორიაზე გამოდის მთელი რიგი პოლონური გაზეთები, რომელნიც მოუწოდებენ პოლონელ ერს გაერთიანდეს ლიუბლინში არსებული პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის გარშემო. ამჟამად მზადდება პოლონელთა სრულიად-საფრანგეთის ყრილობა.

## როგორ ძარცვავდნენ გერმანელები ბულგარეთს

**სოფია**, 5 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პროპაგანდის მინისტრმა კაზასოვმა რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა და მოაგონა მსმენელთ, თუ როგორ ექსპლოატაციას უწევდნენ ოთხი წლის განმავლობაში გერმანელები ბულგარეთის ეკონომიკას, ისინი პირდაპირ სწოვდნენ ბულგარეთის მთელ ეკონომიურ რესურსებს. „გერმანელებმა, — სთქვა კაზასოვმა, — რესურსების ამომრთმევი თავიანთი აპარატის საშუალებით მოახერხეს 47 მილიარდი ლევის სხვადასხვა საქონელი წაერთმიათ ბულგარელი ხალხისათვის, სამაგიეროდ კი არაფერი არ მოუციათ“.

## ი. ნონეშვილის ლექსები

საბლიტგამმა გამოსცა იოსებ ნონეშვილის ლექსების კრებული, რომელშიც მოთავსებულია სამამულო ომის დღეებში დაწერილი 13 ლექსი: „საზეიმოდ თქმული“, „ბარათი ფრონტიდან“, „სატევარა“, „ქართლის დედები“, „ოთხი ძმა“, „ვარდები“, „სიმღერა საბჭოთა კავშირის გმირ ზოია კოსმოდემიანსკაიაზე“, „სახალწლო წერილი ფრონტზე“, „არწივო, წაიღე გული სისხლიანი“ და სხვ.

ამავე კრებულში მოთავსებულია 12 ომამდელი ლირიკული ლექსი.

წიგნი, რომლის რედაქტორია გ. აბზიანიძე, შეიცავს 48 გვერდს და ღირს 15 მან.

სამშაბათს, 10 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია იწვევს მუშკორებისა და საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთების რედაქტორებისა და აქტივის

**საქალაქო შეკრებას**

დღის წესრიგი:

1. საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება და ძირეული პრესის ამოცანები.

შეკრება შესდგება ლ. პ. ბერიას სახელობის კომბინატ „კომუნისტის“ კლუბში (ლენინის ქ. № 28, მესამე სართული).

## თეატრებში

**7 ოქტომბერს:** სახელმწიფო ოპერა — „ბახჩისარაის შადრევანი“. რუსთაველის სახელობის — „საპატარძლო აფიშით“. მარჯანიშვილის სახელობის — „ჰკირვეული ცოლის მორჯულება“. გრიბოედოვის სახელობის — „კრეჩინსკის ქორწინება“. სომხური—„შემოსავლიანი ადგილი“. ახუნდოვის სახელობის — „ფახრათ და შირინ“. მუსკომედიის — „არშინ მალ-ალან“. მოზარდი მაყურებლის—ქართული—„ვალია სოკოლოვა“, რუსული—„გულივერი ლილიპუტების ქვეყანაში“.

## კინოებში

**7 ოქტომბერს:** რუსთაველის სახელობის და ოქტომბერი — „ვოლგა, ვოლგა“. დამკვრელი—ზამთრის — „მიგდებული ბავშვი“, საზაფხულო — „მე შავზღველი ვარ“. სპარტაკი—„ჩაპაევი“. კომკავშირელი — „მზიური ველის სერენადა“. ლუქსემბურგის სახელობის — „ოქროს მთები“. 26 კომისრის სახელობის — „მეკარე“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**


ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონი კვირას, 8 ოქტომბერს
**ფეხბურთი**
**ბაქო („დინამო“) — თბილისი**
(„დინამო“-ოსტატები)
დასაწყისი დღის 3 საათზე.
ბილეთები წინასწარ იყიდება სტადიონის სალაროებში.

ქმარი ლავრენტი ჯანჯღავა (ცანავა) და ვაჟი გივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მოსკოვში 1944 წლის 5 ოქტომბერს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი **თამარ აბრამის-ასული ჯანჯღავა**. დაკრძალვა 7 ოქტომბერს მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, სილვესტრის შესახვევი № 3, ბინა 6.

ახლო მეგობრები ლიდა და პეტრე შარიები შვილებით ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ლავრენტი და გივი ჯანჯღავებს (ცანავებს) მოსკოვში 1944 წლის 5 ოქტომბერს **თამარ აბრამის-ასულ ჯანჯღავას** გარდაცვალების გამო.

აგრაფინა და იაკობ მონიავები შვილებით ლონდათი და არკადით იუწყებიან ამხ. ლავრენტი თომას-ძე ჯანჯღავას მეუღლის **თამარის** გარდაცვალებას.

კატო, ჟინო, ნუნუ, ქეთო, როზა, აგრაფინა, ჟენია და სარდიონ ჯანჯღავები იუწყებიან **თამარ აბრამის-ასულ ჯანჯღავას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვარდენ, შვილი გრიშა, რძალი სერაფიმა, შვილიშვილები შალვა, რეზო, გუგული, ნათელა იუწყებიან **რიხიმე ბეჟიას-ასულ დევდარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8/X.

პროფესორი ერმალოზ თოდაძე ოჯახით იუწყება ოპერის მსახიობის, დისწულის **შალვა ნესტორის-ძე სანაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/X, 6 ს. პროზექტურაში, კამოს, 47. გამოსვენება 8/X, 2 ს.

შვილები გიორგი, აფროდიტა, ქეთო, პატკულია, რძალი ვენერა, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან **ლევანტი გიორგის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/X, 2 ს. გორკის II ჩიხი, 12.

შვილები ეკატერინე, ბაბუცა, არჩილ, ვალერიან, რძალი მარგო, სიძე გ. ტერელაძე, შვილიშვილები იუწყებიან **ირინე კეკელიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/X, 4 ს. პანაშვიდი 7/X, 6 ს. კ. ცეტკინის, 94.

მეუღლე ელენე, შვილები გიორგი, ალექსანდრე, რძლები ვალია, ანა შვილებით იუწყებიან **ტარასი ანტონის-ძე შილაკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/X, 6 ს. გამოსვენება 8/X, 4 ს. გუდის, 39.

შვილები თალიკო, ლენა, ნიკოლოზ, კონსტანტინე იუწყებიან, რომ 8/X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ალათი გიტოს-ასულ ბოკუჩავას** პანაშვიდი.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის პარტორგანიზაცია იუწყება შ. გვასალიას მეუღლის **თინას** გარდაცვალებას.

შვილები გიორგი, თამარ, თინა, რძალი ელისო შვილებით ქოიავები, ბიძაშვილები დულიკო, კუკუნია მამფორიები იუწყებიან **ოლღა ქოიავას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/X, ხუდადოვის, 38.

ბიძაშვილები ილია, ნინო შარაშიძეები, ალექსანდრა, გიორგი ლომაძეები იუწყებიან **ილარიონ ანთიმოზის-ძე მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

ელენე ლასხიშვილი და გრიგოლ რუხაია შვილით ნანულით იუწყებიან **თინა დავითის-ასულ გოგორიშვილი-გვასალიას** გარდაცვალებას.

**დაკარგულია** თბილისის ვაკის მე-6 საშუალო სკოლის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.

**დაკარგულია** თბილისის რაიონის სოფელ პატარა ლილოს არასრული საშუალო სკოლის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-63-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის — 3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო - სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურისა—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი. ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 უე 07903